

ვინ არის გიორგი გეგელაშვილი?

წყარო, რომელიც მეფე ერეკლეს ცხოვრების უმნიშვნელო მონაკვეთს ასახავს, მწირია. არ იძლევა შესაძლებლობას ამბავი ზუსტად აღვადგინოთ. წყაროს სიმწირე ბადებს კითხვებს, რომლებზედაც პასუხი საინტერესო იქნება.

საბუთი მოგვითხრობს ამბავს, ვინმე გიორგი გეგელაშვილზე, რომელიც ლეკებს დაუტყვევებიათ. ლოგიკურია, იბადება კითხვა „რატომ?“, „რატომ ის?“, „ვინ იყო გიორგი გეგელაშვილი სინამდვილეში?“ .

გიორგის დატყვევება ლეკების მიერ, ჩემი აზრით, მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი პიროვნება იყო სუბიექტი, რომლითაც ისინი სარგებლის ნახვას ან, უბრალოდ, რაღაც მიზეზთა გამო მის დასჯას აპირებდნენ. რაც უნდა იყოს, ლეკებმა მისი მოტაცებით და დატყვევებით საკმაოდ გარისკეს, შესაბამისად, არა მგონია, რომ ისინი ასეთ რისკზე უბრალო გლეხის ან, შემთხვევითი გამვლელის გამო წასულიყვნენ და თავი საფრთხეში ჩაეგდოთ.

ფაქტი, რომ ქართველებთან დამეგობრებული ლეკის კაცი, ტყვის გათავისუფლებაში გამოსასყიდს ითხოვდა, კიდევ უფრო მიმდაფრებს ინტერესს გიორგი გეგელაშვილის პიროვნებისადმი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერეკლე მეფისა და მამამისის, თეიმურაზ მეფის, ჩართულობა ტყვის გამოსყიდვაში, დახსნაში. მათ გიორგის გამოსყიდვა დიდმელებისთვის დაუვალეზიათ, თუმცა უშედეგოდ.

ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტში კი, რომელიც თვით ერეკლეს 1764 წლის 28 თებერვალს დიდმელებისთვის მიუწერია, მიუთითებს, რომ რადგანაც არ დაუხსნიათ გიორგი გეგელაშვილი, მათ მასზე არც უფლება ჰქონიათ.

ერთი შეხედვით, შეიძლება, დოკუმენტი ნებისმიერს უმნიშვნელო მოეჩვენოს, რომელსაც არავითარი გამოსადეგი ისტორიული ღირებულება და ინფორმაცია გააჩნია, თუმცა, თუ ფართო მასშტაბით შევხედავთ და წარმოსახვის უნარს ავამუშავებთ, ადვილია იმ მინიშნებებისა და წვრილმანების შემჩნევა, რომლითაც მთლიან სურათს აღვადგენთ. შესაძლებელი ხდება, გიორგი გეგელაშვილის ტყვეობის ისტორიაში იმაზე მეტი დავინახოთ, ვიდრე ერთი კაცის ამბავი და წარსულის ჩვენეული, სუბიექტური სიუჟეტი აღვადგინოთ.

მთავარი კითხვა-„ვინ არის გიორგი გეგელაშვილი სინამდვილეში?“ ისევ პასუხს გაუცემელია. შეიძლება, პასუხი ამ კითხვაზე ძალიან მარტივი და უბრალოა, თუმცა, ჩემი აზრით, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ვფიქრობ არა პასუხები, არამედ ის კითხვებია, რომლებსაც ვსვამთ.

და მაინც მიმაჩნია, რომ გიორგი გეგელაშვილი არ იყო უბრალო, არაფრით გამორჩეული ადამიანი. მიუხედავად საქმის არსის იღუმალებისა და გაურკვევლობისა, ჩემი ჰიპოთეზა ეყრდნობა წინადადებას წყაროში: „მეფე ერეკლეს მამას, მეფე თეიმურაზს ტყვის გამოსყიდვა დიდმელებისთვის დაუვალეზია, მაგრამ უშედეგოდ.“

მამ ასე, ჩემი აზრით, გიორგი გეგელაშვილი, წარმოშობით დიდმელი-პატიმარი, ძეგნილი იყო, რომელიც ლეკებმა დაიჭირეს მისი ინფორმაციულობის გამო და მის დახსნაში ფული მოითხოვეს. დიდმელებმა კი მის დახსნაზე უარი თქვეს, სწორედ ამიტომ ეს საქმე მეფე ერეკლემ ითავა. მან მამასახლისს დავითსა წერილიც გაუგზავნა იმის შესახებ, რომ არას დიდმელს კაცს მასზე უფლება არ ჰქონდა.

მთლიანი წყარო მეფე ერეკლეს წარმოაჩინს, როგორც კეთილშობილ, სამართლიან და შუვალ პიროვნებას. რაოდენ ზრუნავდა ქართველ ერზე და ეხმარებოდა მათ. ამ ისტორიის მთავარი გმირი სწორედ ისაა, სწორედ ერეკლე მეფეს ეხება მთელი ინფორმაცია, რაც თავის მხრივ წყაროს უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

თეონა გოგიბერიძე. 16 წლის.

სსიპ. მამუკა სამაკაშვილის სახელობის ქ. წყალტუბოს N2 საჯარო სკოლა.

მე-11 კლასი